წაჯე–უკუჯექის ცეცხლი

რვანი ძმანი ვიყავით. შემომადგა ცოლი: თუცა შენს ძმათ გაეყრები, ასე გაგამდიდრებ, წაჯე–უკუჯექის ცეცხლს აგინთებო.

ღონე ვეღარ დავიდევ: გავეყარე ძმათა. ზამთარი იყო. დამსვა, დაანთო ცეცხლი. მოიტანის ჩალა, დააყარის. რა აანთის, უკუვჯდი, რა შემცივდის, წინ წავჯდი. ეგრე მიყვის. ვკითხე: რა არის– მეთქი.=

მან მითხრა: ძოღან დაგპირდი წაჯე–უკუჯექის ცეცხლსა და იგიაო!

ახლა ვაებით ვიარები.

მითხრეს: შენც შენი ცოლისა და ძმის ამბავი თქვიო.

მე ეგრე ვუთხარ: არც ერთი მყავს– მეთქი.

მათ მაგინეს და გამომაძეს მაშა ჩვენი აუგი რად მოისმინეო.=

წამოველ. მოველ ქალაქსა მუყამისასა. მუნ მნახა მკურნალმან, რომვლი ყოველთა აქიმთა მთავარი იყო. გამასვენა, მალხინა. აწვია ყოველნი აქიმნი და უთხრა:

– რომელთა უფროსად. ძნელი სამკურნალო საქმე გენახოსთ, ანუ გექმნასთ, სტუმარი ჩემი მოაყურეთ, თუცა იამოს!

თქვა ერთმან: